**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის**
**აკადემიური საბჭო**

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/64

ქ. ბათუმი 14 სექტემბერი 2020 წ.

**2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში მისაღები გამოცდების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის,. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს, ,,ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 7 ივლისის №59 დადგენილების, ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, ,,ბსუ-ს 2020 -2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 06 აგვისტოს №06-01/44 დადგენილების, ,,ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2020-2021 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 14 აგვისტოს N01-02/99 ბრძანების, **,,ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე** 2020-2021 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 14 აგვისტოს №01-02/100 ბრძანებაში და აკადემიური საბჭოს სხდომაზე რექტორის მოადგილის, თამარ სირაძის მოხსენების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. 2020 წელს ქვეყანაში არსებული პანდემიისა და აქედან გამომდინარე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის **ბსუ-ს მაგისტრატურაში მისაღები** გამოცდები ჩატარდეს ,,ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 7 ივლისის №59 დადგენილებისაგან განსხვავებული წესით, კერძოდ, №59 დადგენილებით დამტკიცებული წესის **მე-3 მუხლის** 3.3. პუნქტის შინაარსისაგან განსხვავებით (,,მაგისტრატურაში მისაღები გამოცდები ტარდება წერილობითი ფორმით, მათ შორის უცხო ენის გამოცდა შესაძლებელია იყოს ტესტირებული, ხოლო სპეციალობის გამოცდა კომბინირებული (ტესტირებული და საკითხები/თემები) ამასთან, ცალკეული საკითხის/თემის მაქსიმალური შეფასება არ

შეიძლება იყოს 10 ქულაზე მეტი“) მაგისტრატურაში მისაღები გამოცდები, მათ შორის უცხო ენის გამოცდა, ჩატარდეს ელექტრონულად (გასაუბრება დისტანციურად, ZOOM-ის ფორმატში, გამოცდის ორგანიზატორის მიერ გამოსაცდელი პირთან შეხვედრის/ჩართვის ჩაწერითა და შენახვის ფუნქციის გამოყენებით), ხოლო გამოცდებზე კანდიდატები შეფასდნენ შემდეგი კრიტერიუმებით:

**1.1. სპეციალობის გამოცდაზე** - საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნებიდან გამომდინარე;

**1.2. უცხო ენი გამოცდაზე (B1 დონე) შემდეგნაირად:**

**ა) 9-10 ქულა** - პასუხი სრულია, საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული, სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს B1 დონით გათვალისწინებულ ლექსიკურ მასალას, პასუხი ლოგიკურია და ზუსტად პასუხობს დასმულ შეკითხვას; თანმიმდევრულად გადმოსცემს ინფორმაციას; იცავს გამოცდის დროის ლიმიტს;

**ბ) 7-8 ქულა** - პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი, არ უშვებს არსებით შეცდომებს, კარგად ფლობს B1 დონით გათვალისწინებულ ლექსიკურ მასალას, იყენებს გრამატიკულ კონსტრუქციებს და ენობრივ ფორმებს, შეუძლია აზრის ლოგიკურად ფორმულირება, თუმცა ნაწილობრივ იცავს გამოცდის დროის ლიმიტს;

**გ) 5-6 ქულა** - პასუხი არასრულია, საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული, აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები, იყენებს მწირ ლექსიკას, პასუხი ლოგიკურად გაუმართავია;

**დ) 3-4 ქულა** - პასუხი არასრულია; მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ და არალოგიკურად, აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა; გამოცდის დროის ლიმიტი არ არის დაცული, ვერ იყენებს სწორად გრამატიკულ კონსტრუქციებს, მაგრამ იჩენს გაბედულებას ენობრივი თვალსაზრისით;

**ე) 1-2 ქულა** - პასუხი ნაკლოვანია, B1 დონით გათვალისწინებული ლექსიკური მასალა არ არის გამოყენებული; პასუხი არსებითად მცდარია და არალოგიკური, საკითხი გადმოცემულია ფრაგმენტულად, გრამატიკული და ლექსიკური შეცდომები მრავლად შეინიშნება;

**ვ) 0 ქულა:** პასუხი არ შეესაბამება დასმულ შეკითხვას ან კანდიდატი არ პასუხობს შეკითხვას.

**1.3. უცხო ენის გამოცდაზე ( B 2 დონე) შემდეგნაირად:**

ა) 17-20 ქულა: პასუხი სრულია, საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული, სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს **B 2** დონით გათვალისწინებულ ლექსიკურ მასალას, პასუხი ლოგიკურია და ზუსტად პასუხობს დასმულ შეკითხვას; თანმიმდევრულად გადმოსცემს ინფორმაციას; იცავს დროის ლიმიტს

ბ) 13-16 ქულა: პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი, არ უშვებს არსებით შეცდომებს, კარგად ფლობს **B 2** დონით გათვალისწინებულ ლექსიკურ მასალას, იყენებს გრამატიკულ კონსტრუქციებს და ენობრივ ფორმებს, შეუძლია აზრის ლოგიკურად ფორმულირება, თუმცა ნაწილობრივ იცავს დროის ლიმიტს

გ) 9-12 ქულა: პასუხი არასრულია, საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული, აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები, იყენებს მწირ ლექსიკას, პასუხი ლოგიკურად არ არის კარგად გამართული.

დ) 5-8 ქულა პასუხი არასრულია; მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ და არალოგიკურად, აღინიშნება რამოდენიმე არსებითი შეცდომა; დროის ლიმიტი არ არის

დაცული, ვერ იყენებს სწორად გრამატიკულ  კონსტრუქციებს, მაგრამ იჩენს გაბედულებას ენობრივი თვალსაზრისით.

ე) 1-4 ქულა: პასუხი ნაკლოვანია, **B2** დონით გათვალისწინებული ლექსიკური მასალა არ არის გამოყენებული; პასუხი არსებითად მცდარია და არალოგიკური, საკითხი გადმოცემულია ფრაგმენტულად, გრამატიკული და ლექსიკური შეცდომები მრავლად შეინიშნება.

ვ) 0-ქულა: პასუხი არ შეესაბამება დასმულ შეკითხვას ან სტუდენტი არ პასუხობს შეკითხვას.

2. 2020 წელს ქვეყანაში არსებული პანდემიისა და აქედან გამომდინარე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის **ბსუ-ს დოქტორანტურაში მისაღები გამოცდები ჩატარდეს** ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილებისაგან განსხვავებული წესით, კერძოდ, №19 დადგენილებით დამტკიცებული წესის **მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შინაარსისა** (,,ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა") და **მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის შინაარსისაგან** (,,დოქტორანტობის კანდიდატი გადის გასაუბრებას დარგობრივ საგამოცდო კომისიასთან. კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სპეციალობის გამოცდის (გასაუბრების) შედეგებს. სადოქტორო პროგრამით შესაძლებელია დოქტორანტობის კანდიდატებისათვის მიღების დამატებითი პირობების განსაზღვრა") **განსხვავებით, დოქტორანტურაში მისაღები გამოცდები, მათ შორის უცხო ენის გამოცდა, ჩატარდეს ელექტრონულად** (გასაუბრება დისტანციურად, ZOOM-ის ფორმატში, გამოცდის ორგანიზატორის მიერ გამოსაცდელი პირთან შეხვედრის/ჩართვის ჩაწერითა და შენახვის ფუნქციის გამოყენებით), ხოლო გამოცდებზე კანდიდატები შეფასდნენ შემდეგი კრიტერიუმებით:

**2.1. სპეციალობის გამოცდაზე** - საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნებიდან გამომდინარე;

**2.2. უცხო ენის გამოცდაზე (B 2 დონე) შემდეგნაირად:**

**ა) 9-10 ქულა** - პასუხი სრულია, საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული, სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს B2  დონით გათვალისწინებულ ლექსიკურ მასალას, პასუხი ლოგიკურია და ზუსტად პასუხობს დასმულ შეკითხვას; თანმიმდევრულად გადმოსცემს ინფორმაციას; იცავს გამოცდის დროის ლიმიტს;

**ბ) 7-8 ქულა** - პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი, არ უშვებს არსებით შეცდომებს, კარგად ფლობს B2 დონით გათვალისწინებულ ლექსიკურ მასალას, იყენებს გრამატიკულ კონსტრუქციებს და ენობრივ ფორმებს, შეუძლია აზრის ლოგიკურად ფორმულირება, თუმცა ნაწილობრივ იცავს გამოცდის დროის ლიმიტს;

**გ) 5-6 ქულა** - პასუხი არასრულია, საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული, აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები, იყენებს მწირ ლექსიკას, პასუხი ლოგიკურად გაუმართავია;

**დ) 3-4 ქულა** - პასუხი არასრულია; მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ და არალოგიკურად, აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა; გამოცდის დროის ლიმიტი არ არის დაცული, ვერ იყენებს სწორად გრამატიკულ  კონსტრუქციებს, მაგრამ იჩენს გაბედულებას ენობრივი თვალსაზრისით;

**ე) 1-2 ქულა** - პასუხი ნაკლოვანია, B2 დონით გათვალისწინებული ლექსიკური მასალა არ არის გამოყენებული; პასუხი არსებითად მცდარია და არალოგიკური, საკითხი

გადმოცემულია ფრაგმენტულად, გრამატიკული და ლექსიკური შეცდომები მრავლად შეინიშნება;

**ვ) 0 ქულა:** პასუხი არ შეესაბამება დასმულ შეკითხვას ან კანდიდატი არ პასუხობს შეკითხვას.

**2.3. უცხო ენის გამოცდაზე ( C1 დონე) შემდეგნაირად:**

ა) 17-20 ქულა: პასუხი სრულია, საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული, სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს C1 დონით გათვალისწინებულ ლექსიკურ მასალას, პასუხი ლოგიკურია და ზუსტად პასუხობს დასმულ შეკითხვას; თანმიმდევრულად გადმოსცემს ინფორმაციას; იცავს დროის ლიმიტს

ბ) 13-16 ქულა: პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი, არ უშვებს არსებით შეცდომებს, კარგად ფლობს C1 დონით გათვალისწინებულ ლექსიკურ მასალას, იყენებს გრამატიკულ კონსტრუქციებს და ენობრივ ფორმებს, შეუძლია აზრის ლოგიკურად ფორმულირება, თუმცა ნაწილობრივ იცავს დროის ლიმიტს

გ) 9-12 ქულა: პასუხი არასრულია, საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული, აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები, იყენებს მწირ ლექსიკას, პასუხი ლოგიკურად არ არის კარგად გამართული.

დ) 5-8 ქულა პასუხი არასრულია; მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ და არალოგიკურად, აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა; დროის ლიმიტი არ არის დაცული, ვერ იყენებს სწორად გრამატიკულ კონსტრუქციებს, მაგრამ იჩენს გაბედულებას ენობრივი თვალსაზრისით.

ე) 1-4 ქულა: პასუხი ნაკლოვანია, C1 დონით გათვალისწინებული ლექსიკური მასალა არ არის გამოყენებული; პასუხი არსებითად მცდარია და არალოგიკური, საკითხი გადმოცემულია ფრაგმენტულად, გრამატიკული და ლექსიკური შეცდომები მრავლად შეინიშნება.

ვ) 0-ქულა: პასუხი არ შეესაბამება დასმულ შეკითხვას ან სტუდენტი არ პასუხობს შეკითხვას.

2. წინამდებარე დადგენილების აღსრულების მიზნით ბსუ-ს რექტორმა გამოსცეს სამართლებრივი აქტი (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

3. დადგენილება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ–ს კანცელარიასთან და ფაკულტეტების დეკანატებთან თვალსაჩინო ადგილებზე, ბსუ–ს ვებგვერდსა და ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე, ასევე სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ–ს ყველა ფაკულტეტს, სტრუქტურულ ერთეულს და მართვის ორგანოს.

4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**